შპს « სიე ჩუანგ"

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სიე ჩუანგ"-ის (შემდგომში „კომპანია") ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისათვის, საქმიანობის შედეგებს და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო არ აპირებს და ასევე არ პროგნოზირებს მომავალში საქმიანობის შეჩერებას და ორიენტირებულია მოგების გაზრდაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

· კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

· ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;

· სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

· კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

· თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი: 43871320

ბუღალტერი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ერთეულ ლარში)

	2024	2023
მიმდინარე აქტივები	*1306190*	*1233311*
ფული და ფულის ეკვივალენტები	1237453	850207
სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები	68737	383104
მარაგები	*0*	*0*
სასაქონლო–მატერიალური მარაგი	0	0
ძირითადი საშუალებები	*68360*	*85451*
ინვენტარი	21234	26543
სატრანსპორტო საშუალებები	47126	58908
სულ აქტივები	*1374550*	*1318762*
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	0	0
საგადასახადო ვალდებულება	6282	44394
საპენსიო ფონდი	2516	44193
სულ ვალდებულებები	*8798*	*88587*
საწესდებო კაპიტალი	0	0
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	1365752	1230175
სულ საკუთარი კაპიტალი	*1365752*	*1230175*
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	*1374550*	*1318762*

დირექტორი:

ბუღალტერი:

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება
2023-2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ერთეული ლარი)

	2024 წ.	**2023 წ.**
შემოსავალი	3834199	2598523
მომსახურეის გაწევიდან სხვა (საქონის გაყიდვიდან)	791976 3042223	2598523 0
საერთო მოგება	**3834199**	**2598523**
საერთო ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი:	(3534584)	(1778296)
დასაქმებულთა ანაზღაურება	(580562)	(1515684)
ცვეთა /ამორტიზაციის ხარჯი	(17091)	(15488)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი საქონლის გაყიდვების თვითღირებულება	(53047) (2883884)	(247124) 0
მოგება/ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	**299615**	**820227**
მოგების გადასახადის ხარჯი	(24606)	(78918)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	275009	741309
განაწილებულება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)	(139432)	(427253)

დირექტორი:

ბუღალტერი:

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „სიე ჩუანგ" ს/კ 443871320 (შემდგომში „კომპანია") დარეგისტრირდა 2021 წლის 8 ოქტომბერს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: ხაშურის რაიონი, სოფ. ქვიშხეთი. საქმიანობის საგანს წარმოადგენს გვირაბების მშენებლობა (სურამი, რიკოთი).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორია:

1. პეი ქსიაოვეი - 100 %

საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები, ასევე არ გააჩნია ფილიალები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი

სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, მომგებიანობა, ფულადი ნაკადები, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების სააღრიცხვო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, ასევე მოქმედებს შემოსავლებსა და ხარჯებზე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში.

დირექტორი: ბუღალტერი:

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად.

აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- ფლობის ძირითადი მზანია ვაჭრობა
- მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარირიდან.
- ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივ საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში.
- ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს კომპიუტერული პროგრამა „ორისი"-ს მეშვეობით.

პროგრამაში უზრუნველყოფილია ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
ახსნა–განმარტებით შენიშვნებს.

დირექტორი;

ბუღალტერი; ნ. კვარაცხელია

ფული და ფულის ექვივალენტები (ერთეული ლარი)

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები წარმოიშობა ჩვეულებრივ გაწეული მომსახურებიდან, გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე და მათი რაოდენობა განისაზღვრება მომსახურებიდან გამომდინარე.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირების ჩათვლით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან შიდა და გარე ფაქტორები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლებელია ვერ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა არასაოპერაციო ხარჯების ნაწილში. შეკეთება-განახლების ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან როდესაც ის მზად არის ექსპლუატაციისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირთადი საშუალების მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს. ჩამოწერა ხდება მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პეროდისთვის როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

დირექტორი: ბუღალტერი: 6. ...

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მის სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის. გარიგებებისა და მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები მოიცავს ვაჭრობის შედეგად გამომუშავებულ თანხებს, რომლის გადახდაც მოხდება მომდევნო პერიოდში.

საგადასახადო ვალდებულებები

კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად. კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით.

საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კვალიფიცირდება, როგორც საწესდებო კაპიტალი. 2024 წელში მოხდა დივიდენდის განაწილება.

აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არა არის.

გაუნაწილებელი მოგება

კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება, რომელიც ასახულია მის ბალანსში. კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები მომსახურების ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით დღგ-გადასახადის გამოკლებით. საზოგადოება მომსახურების შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს, როდესაც ფაქტიურად ხდება მომსახურების გაწევა.

დირექტორი: ____ ბუღალტერი: _____

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.
მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

დასაქმებულთა ანაზღაურება

ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საშემოსავლო და სხვა არსებული გადასახადით. დაბეგრილი ხელფასი გაიცემა ეროვნულ ვალუტაში მუშაკის პირად საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით ან ხელზე გაცემით, რაც დასტურდება შესაბამის უწყისზე ხელმოწერით.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაფიქსირებულა.

დირექტორი: 443871320

ბუღალტერი: 6.